სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ
მეცნიერებებში

№2, ივლისი, 2017

Student Journal of Social Sciences

ირანის ბირთვული შეთანხმება - რეგიონული ვითარების სტაბილიზატორი?

თათია ვახტანგაძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ დ აპოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელფოსტა: vakhtangadzetatia@gmail.com.

რეზიუმე

2015 წლის 14 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივმა წევრმა, ასევე გერმანიამ და ირანმა ვენაში ხელი მოაწერეს ირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვის ხელშეკრულებას, რომელიც ირანს ბირთვული იარაღის წარმოებას უკრძალავს. ბირთვული იარაღის წარმოების ეჭვის შემთხვევაში გაეროს ექნება უფლება, ქვეყანაში შევიდეს და გამოიკვლიოს ვითარება. ირანის მხრიდან შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში აშშ, გაერო და ევროკავშირი კვლავ დაუწესებენ ქვეყანას სანქციებს. სამაგიეროდ, ამ პირობების შესრულების სანაცვლოდ, ზემოხსენებული სუბიექტები (აშშ, ევროკავშირი და გაერო) ირანის მიმართ მოქმედ ეკონომიკურ სანქციებს ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე გააუქმებენ.

მიღებულ გადაწყვეტილებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა სხვადასხვა ქვეყნის მხრიდან. ზოგიერთი მათგანის შეფასებით, ზემოხსენებული შეთანხმება უფრო მეტად საფრთხის შემცველია, ვიდრე მშვიდობის გარანტი, თუმცა ხელშეკრულების მომხრენი არ იზიარებენ მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებს და ირანის ბირთვულ შეთანხმებას ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

რთული სათქმელია, რამდენად უზრუნველყოფს ეს ხელშეკრულება რეგიონული თუ გლობალური მასშტაბის დაძაბულობის ზრდის შეჩერებას, რადგან მოვლენათა ალტერნატიული განვითარების სცენარი პირიქით - კონფლიქტების ესკალაციისა და კონფრონტაციის ზრდის ახალ საფრთხეებს მოიცავს.

ნაშრომში განხილულია შეთანხმების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიციები, შეთანხმების პირობები, JCPOA-ის მნიშვნელობა, მისი იმპლემენტაციის კრიტიკა და მიღწეული შედეგები. ასევე წარმოდგენილია შეთანხმების სავარაუდო საფრთხეები და პერსპექტივები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება: რამდენად მნიშვნელოვანი და ეფექტიანია ირანის ბირთვული შეთანხმება, როგორც მსოფლიოს ბირთვული კლუბის გაფართოების აღმოფხვრისკენ გადადგმული ნაბიჯი თუ იგი ირანის მიერ ატომური იარაღის შექმნის გადავადების მცდელობაა? ნაშრომის დამოუკიდებელი ცვლადია ირანის ბირთვული შეთანხმება, ხოლო დამოკიდებული ცვლადი - მსოფლიოს ბირთვული კლუბის გაფართოების შესაძლებლობა. ჰიპოთეზა და კვლევის შედეგად გამოტანილი ძირითადი დასკვნა კი შემდეგია: ირანის ბირთვული შეთანხმება რეგიონული და მსოფლიო მშვიდობის ხელშემწყობი ისტორიული ნაბიჯია და იგი ირანის მიერ ბირთვული იარაღის არა გადავადების, არამედ მის შექმნაზე უარის თქმის ერთგვარი გარანტიაა, რის შედეგადაც, სავარაუდოდ, მსოფლიოს ბირთვული კლუბიც აღარ გაფართოვდება.

საკვანძო სიტყვები: იმპლემენტაცია, JCPOA, ირანის ბირთვული შეთანხმება, ბირთვული კლუბი

Abstract

In July of 2015, the Security Council of United Nations, also Germany and Iran signed an agreement about the limitation of Iran's nuclear program that forbade Iran to produce nuclear weapons. According to the agreement, UN, USA and EU would abolish the sanctions that have existed for many years. If the UN has a doubt that Iran produces nuclear weapons, the organization will be able to enter the country and investigate the situation. If Iran breaks the agreement, UN, USA and EU will set the sanctions against Iran back in motion.

The world's reactions about the deal were varied. According to some countries, this agreement cannot be a guarantee for peace. Others do not share this opinion and contend that the deal has historical importance.

It is hard to say if Iran Nuclear Deal provides regional security and ends the tension, because an alternative scenario contains new dangers of conflict escalation and tension increasing.

This work examines the positions of supporters and opponents of the Nuclear Deal, its terms, importance of Joint Comprehensive Plan of Action (JCPOA), critics' opinions about its implementation and the results almost two years later. Also I am going to represent presumable dangers and perspectives of the deal.

The main research question is-How important and effective is the Iran Nuclear Deal as the step to eradicate the expansion of World's Nuclear Club or is this deal signed to delay the producing of nuclear weapons?
The nuclear deal will be an independent variable and the possibility of expansion of world's nuclear club will be a dependent variable.
The hypothesis of the work is that the Iran Nuclear Deal as a historical fact that promotes regional and world peace and it is not only an agreement to postpone producing nuclear weapons by Iran. The deal is a kind of guarantee that Iran negates producing nuclear weapons and as a result, the World's Nuclear Club may not expand.

შესავალი

ირანის ბირთვული პოლიტიკის შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებები 2004 წელს დაიწყო, როდესაც დასავლეთის ქვეყნებმა ირანი „საიდუმლო სამხედრო ბირთვული პროგრამის" შემუშავების მცდელობაში დაადანაშაულეს. ირანთან უშუალო მოლაპარაკებების პროცესს საფუძველი 2006 წელს ჩაეყარა, რამაც შედეგად გამოიღო ჯერ 2013 წელს ერთობლივი სამოქმედო გეგმის (JPOA), ხოლო 2015 წელს ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის (JCPOA) შემუშავება. ბირთვული შეთანხმება ირანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ ხელშეკრულების ამოქმედებით შეიცვლება ირანის იზოლაციური საერთაშორისო პოზიცია. აგრეთვე ხსენებული პროცესები, დიდი ალბათობით, ხელს შეუწყობს ირანის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ განვითარებას, თუმცა, ამავე დროს, შესაძლოა, ირანი ჩამოყალიბდეს რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოდ.

საინტერესოა ის, რომ შეთანხმება ძალას 15 წლის შემდეგ კარგავს. ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა აზრით, ამ დროის გასვლის შემდეგ ირანს ხელშეკრულების დარღვევის გარეშე შეუძლია შექმნას ბირთვული იარაღი, ეს პროცესი კი სრულად უგულებელყოფს ხელშეკრულების მიზნებს - ირანს კვლავ ექნება ბირთვული იარაღის წარმოების უფლება, რამაც შესაძლოა, ბირთვული კლუბის არა მხოლოდ ერთი წევრით, არამედ მეტით გაფართოებაც გამოიწვიოს, თუკი ბირთვული იარაღის წარმოების სურვილი და ამბიცია რეგიონში მდებარე სხვა სახელმწიფოებსაც გაუჩნდებათ.

საკვლევ პრობლემას წარმოადგენს არასაკმარისი რესურსები ქართულ ენაზე, რის შედეგადაც ხშირად ბუნდოვანია, რამდენად მნიშვნელოვანია ზემოხსენებული ხელშეკრულება. ნაშრომიც სწორედ არსებული წყაროების მოძიებისა და შეჯამების, ასევე, ინდუქცია-დედუქციის გამოყენების საშუალებით განსაზღვრავს ბირთვული შეთანხმების მნიშვნელობას

საკითხის აქტუალობა

საკითხის აქტუალობას განაპირობებს აზრთა სხვადასხვაობა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით - რამდენად არის JCPOA იმის გარანტი, რომ ირანი ბირთვული იარაღის წარმოებაზე სამუდამოდ იტყვის უარს. ამ ეჭვს, ერთი მხრივ, ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ხელშეკრულებას ვადა 15 წელიწადში ეწურება, ხოლო მეორე მხრივ, ამ მოსაზრებას უარყოფს დასავლეთის მიერ ირანისთვის შეთავაზებული პირობები და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა. საინტერესოა, რამდენადაა შესაძლებელი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ირანმა კვლავ იზრუნოს ბირთვული იარაღის შექმნაზე?

ხელშეკრულების ხელმოწერიდან 17 თვე გავიდა და კამათი საკითხთან დაკავშირებით კვლავ არ წყდება: ერთნი ირანის ბირთვულ შეთანხმებას საფრთხის შემცველს უწოდებენ, მეორენი კი მას ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებენ, აცხადებენ, რომ ამ გზით ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა სამუდამოდ აღიკვეთება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, რთული სათქმელია, რამდენად უზრუნველყოფს ეს ხელშეკრულება რეგიონული თუ გლობალური მასშტაბის დაძაბულობის ზრდის შეჩერებას, რადგან მოვლენათა ალტერნატიული განვითარების სცენარი პირიქით - კონფლიქტების ესკალაციისა და კონფრონტაციის ზრდის ახალ საფრთხეებს მოიცავს.

კვლევის მიზნები

ნაშრომის მიზანია, ერთი მხრივ, შეთანხმების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიციების განხილვა, მეორე მხრივ კი - შეთანხმების სავარაუდო საფრთხეებისა და პერსპექტივების შეფასება და განსაზღვრა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება: რამდენად მნიშვნელოვანი და ეფექტიანია ირანის ბირთვული შეთანხმება, როგორც მსოფლიოს ბირთვული კლუბის გაფართოების აღმოფხვრისკენ გადადგმული ნაბიჯი თუ ის ირანის მიერ ატომური იარაღის შექმნის გადავადების მცდელობაა? საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, ნაშრომის დამოუკიდებელი ცვლადი იქნება ირანის ბირთვული შეთანხმება, ხოლო დამოკიდებული ცვლადი - მსოფლიოს ბირთვული კლუბის გაფართოების შესაძლებლობა.

კვლევის მეთოდოლოგია და ლიტერატურის მიმოხილვა

ზემოხსენებულ საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოყენებული იქნება კვლევის შემდეგი მეთოდოლოგია - უმთავრესად მეორეული წყაროების, ოფიციალური ცნობებისა და ანალიტიკური დოკუმენტების ანალიზი, ხოლო რაც შეეხება ლიტერატურას, ძირითადად გამოყენებული იქნება ექსპერტთა მოსაზრებები და ანალიტიკური სტატიები გაეროს, უშიშროების საბჭოს, თეთრი სახლის ოფიციალური ვებ-გვერდებიდან და გავლენიანი გამოცემები, როგორებიცაა NY TIMES, BBC, USA TODAY, WASHINGTON POST, THE ATLANTIC და სხვა. ნაშრომში გამოყენებული მნიშვნელოვანი წყაროებია ოფიციალური დოკუმენტები - 2231-ე რეზოლუციის იმპლემენტაციის გეგმისა და თავად ირანის ბირთვული შეთანხმების შესახებ. მომხრე-მოწინააღმდეგე პოზიციების განხილვისას გამოყენებულია სხვადასხვა ავტორთა აკადემიური ნაშრომებიც, როგორებიცაა: „Analysis of US – Iran Nuclear Deal Negotiations" და „Iran Nuclear Deal: Implications of the Framework Agreement".

იზოლაციიდან შეთანხმებამდე

1979 წლის რევოლუციიდან ბირთვული შეთანხმების ხელმოწერამდე ირანის ისლამური რესპუბლიკა, ფაქტობრივად, იზოლირებული იყო დასავლურის საერთაშორისო საზოგადოებისგან და არც შუა აზიის რეგიონის ქვეყნებთან ჰქონდა სახარბიელო, მშვიდობიანი ურთიერთობა. ირანის შაჰ მუჰამედ რეზა ფეჰლევის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქვეყნის ლიდერმა აიათოლა ჰომეინმა უარი თქვა ამერიკასთან ურთიერთობაზე იმ მოტივით, რომ აშშ რევოლუციის დროს შაჰის რეჟიმს უჭერდა მხარს. ირანის მხრიდან ამგვარი ნაბიჯის საპასუხოდ აშშ-მა ირანს სხვადასხვა სახის სანქცია დაუწესა: ირან-ერაყის ომის დროს რეიგანის ადმინისტრაციამ ირანის წინააღმდეგ დააწესა ეკონომიკური და სავაჭრო სანქციები. ირანსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები გაამწვავა ირან-ერაყის ომში აშშ-ის მიერ ერაყის მხარდაჭერამ და ირანული თვითმფრინავის ჩამოგდებამ, რის შედეგადაც 299 ირანელი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში ირანის მიმართ დაწესებული სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდა. სავაჭრო სანქციებს დაემატა ამერიკული და სხვა გლობალური კომპანიების მიერ ირანში ინვესტირების აკრძალვა. ვაშინგტონმა აგრეთვე უარი განაცხადა ირანის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მსოფლიო ბანკიდან სესხის აღებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი ბუშიც აგრძელებდა წინამორბედთა ტრადიციას და ცდილობდა, ჩინეთისა და რუსეთის მედიატორობით ირანი დაერწმუნებინა, აღარ გაეზარდა საკუთარი ბირთვული არსენალი.

ირანის ბირთვული პროგრამის ჩამოყალიბება 1950 წლიდან იწყება შაჰ რეზა ფეჰლევის ინიციატივით. 1973 წელს კი იქმნება ირანის ატომური ენერგიის ორგანიზაცია. ორგანიზაციასა და ირანის ბირთვულ შესაძლებლობებს უნდა გაემყარებინა ირანის პოზიციები რეგიონში და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს სტატუსი უნდა მიენიჭებინა მისთვის. 1979 წელს, ისლამური რევოლუციის დროს, ბირთვული პროგრამის საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია 80-იანი წლების მიწურულამდე, სანამ ერაყთან ომმა და ეჭვმა, რომ სადამ ჰუსეინიც ქმნიდა ბირთვულ პროგრამას, არ აიძულა ირანი კვლავ დაებრუნებინა

ბირთვული პროგრამის საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში. 90-იანი წლების შუა პერიოდიდან აშშ-მა, ეჭვის საფუძველზე, რომ ირანი ბირთვულ იარაღს ქმნიდა, არგენტინა, გერმანია, საფრანგეთი და ინდოეთი დაარწმუნა, რომ მის მსგავსად მათაც აეკრძალათ ინვესტირება ირანში.

წლების განმავლობაში ირანის ბირთვული პროგრამა თანდათან უფრო ვითარდებოდა - 2003 წელს გაეროს სადამკვირვებლო ჯგუფმა მაღალი კონცენტრაციის ურანი აღმოაჩინა ნათანცის ქარხანაში. 2006 წელს თეირანში გაიხსნა პლუტონიუმის ქარხანა (სწორედ ზემოხსენებული ორი ნივთიერება -ურანი და პლუტონიუმი არის საჭირო ბირთვული იარაღის შესაქმნელად). ირანის ამგვარი აქტიურობა მეტად ამწვავებდა მის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის საშიშროებას და აღრმავებდა დასავლეთის ინტერესს, როგორმე მიეღწია ირანთან კონსენსუსს და აღმოეფხვრა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის საშიშროება. თუმცა დასავლეთის მცდელობები არც ისე წარმატებულად მიმდინარეობდა - 2008 წელს შედგა მოლაპარაკება ერთი მხრივ ირანს, მეორე მხრივ კი - აშშ-ს, ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთს, გერმანიასა და რუსეთს შორის, სადაც ირანის წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ ირანში ურანის გამდიდრების შეწყვეტის თაობაზე ისინი ვერ შეთანხმდებოდნენ.

ამ ფონზე დაძაბულობა კიდევ უფრო იზრდებოდა - 2009 წელს გაეროს დაკვირვებით აღმოაჩნეს საიდუმლო გეგმა, რის შედეგადაც ამოქმედდა აშშ-სა და ისრაელის მხრიდან საბოტაჟის გეგმა და ამ ორმა ქვეყანამ ხელში ჩაიგდო 1000 ირანული ცენტრიფუგა. ისრაელი და აშშ ასევე დაადანაშაულეს 2010 წელს ირანის ბირთვული პროგრამის ორი წამყვანი მეცნიერის მკვლელობაში.

ერთი წლის შემდეგ დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ კვლავ გაამკაცრონ ირანის მიმართ სანქციები და ქვეყანა ჩამოაშორონ საერთაშორისო ფინანსურ სისტემას. გაერო კი აგრძელებს ფაქტების ძიებას იმის დასამტკიცებლად, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს.

2011 წელს 5+1 -სა და ირანის შეხვედრა და მოლაპარაკებები სტამბულში კვლავ წარუმატებლად დასრულდა.

მას შემდეგ, რაც 2012 წელს ირანმა გამოაქვეყნა ინფორმაცია ურანის 3000 ახალი ცენტრიფუგას შექმნის შესახებ, ექვსმა ქვეყანამ - აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი გერმანია და ბრიტანეთი - დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მათ უნდა შეეჩერებინათ ირანის მიერ ურანის წარმოება 20%-იან კონცენტრაციაზე. ამ მიზეზით დასავლეთმა გაამკაცრა სანქციები, რის შედეგადაც ირანის ნავთობის ფასი მკვეთრად დაეცა. 2012 წლის ბოლოს ირანის ეროვნული ვალუტა თითქმის ორჯერ გაუფასურდა, თუმცა ირანის მთავრობამ განაცხადა, რომ ისინი გეგმავენ ექვსჯერ უფრო ძლიერი ცენტრიფუგების წარმოებას, ვიდრე ეს იყო წინათ.

2013 წელს უკვე საჯარო იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ირანში 16 ახალი ბირთვული სადგური გაიხსნა. ბირთვული პროგრამის შესახებ ირანი აცხადებდა, რომ ის არ აპირებს ბირთვული იარაღის შექმნას, თუმცა სურვილის შემთხვევაში, ქვეყნის ბირთვულ ინტერესებს ვერავინ შეაკავებს.

ვითარებისა და პოზიციების ძირეული ცვლილება სწორედ 2013 წლიდან იწყება, როდესაც არჩევნების შედეგად ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი ხდება. მან თავიდანვე გამოთქვა სურვილი ბირთვული მოლაპარაკებების წარმოების შესახებ, რაც, მისივე განცხადებით, ხელს შეუწყობდა ირანის წინააღმდეგ ამოქმედებული საერთაშორისო სანქციების გაუქმებას. 2013 წლის ბოლოს 5+1 და ირანმა მიაღწიეს შეთანხმებას ბირთვული პროგრამის 6 თვით შეჩერების შესახებ. 2014 წელს კი ირანმა განაცხადა, რომ ის შეწყვეტდა ბირთვულ პროგრამას რამდენიმე წლით. მეორე მხარეს ამ შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

პირველი შეთანხმება მხარეებს შორის მიღწეული იქნა 2015 წლის აპრილში, საბოლოოდ კი შეთანხმებას ხელი 2015 წლის 14 ივლისს მოეწერა გაეროს უშიშროების საბჭოს, გერმანიისა და ირანის მიერ. მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობდნენ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ ჯავად ზარიფი.

მიღწეული შეთანხმება 5+1-ისა და ირანის მთავრობის მიერ ისტორიულ ხელშეკრულებად მიიჩნევა, რომელმაც, მათივე განცხადებით, წერტილი დაუსვა ირანის იზოლაციონიზმს და ხელი შეუწყო მსოფლიო უსაფრთხოებას .

შეთანხმების პირობები

როგორც მოლაპარაკების მხარეები აცხადებენ, JCPOA განსაზღვრავს თეირანის ბირთვული პროგრამის ლიმიტებს მომავალი 15 წლის განმავლობაში და უზრუნველყოფს მშვიდობიან და შედარებით კარგ ურთიერთობებს ათეულობით წლის განმავლობაში დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შორის.

უმთავრესი საკითხები, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ:

- ირანმა უნდა შეამციროს ურანის არსენალის გამდიდრება 3.67%-მდე (მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 20%-ს შეადგენდა);
- მომავალი 15 წლის განმავლობაში ირანმა უნდა შეამციროს ურანის მოხმარება 10 000 კგ-დან 300 კგ-მდე;
- ურანის გამამდიდრებელი ობიექტი ირანმა უნდა გადააქციოს ტექნოლოგიისა და ფიზიკის კვლევის ცენტრად;
- ირანი უფლებას რთავს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA), დააკვირდეს ირანში ამ მხრივ მიმდინარე მოვლენებს;
- ურანის გამამდიდრებელი ობიექტებიდან ირანმა მხოლოდ ნათანცი უნდა გამოიყენოს;
- ირანის მხრიდან IAEA-ს მიერ აღმოჩენილი ხელშეკრულებისთვის შეუსაბამო მოქმედების შემთხვევაში, კვლავ ამოქმედდება მოხსნილი სანქციები;

ხელშეკრულების განხორციელების გეგმის კრიტიკა:

ხელშეკრულებას და მისი რეალიზების მექანიზმებსაც, რასაკვირველია, უამრავი კრიტიკოსი ჰყავს. კრიტიკოსთა მოსაზრებები შეგვიძლია შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

- არსებული იმპლემენტაციის მექანიზმები არის არასრულყოფილი:
    - ხელშეკრულება ირანს ავალდებულებს გადადოს და არა გაანადგუროს ურანის გამამდიდრებელი სამუშაოები. ცენტრიფუგები და სხვა აღჭურვილობა, შესაძლებელია, თავიდან აეწყოს სულ რაღაც 12 თვეში;
    - თეირანმა, მოთხოვნის შესაბამისად, საკუთარი ურანის მარაგის უდიდესი ნაწილის ექსპორტირება რუსეთში მოახდინა. რუსეთს ამით (მუქარით, რომ რეზერვს ირანში დააბრუნებს) მანიპულირება შეუძლია აშშ-ის წინააღმდეგ.
- იმპლემენტაციას ვაშინგტონის ყურადღება სხვა საკითხებზე გადააქვს:
    - ბირთვული შეთანხმების წარმატების გამო, ვაშინგტონმა თვალი დახუჭა ირანთან მის წინაშე მდგარ სხვა გამოწვევებზე, როგორიცაა თეირანის მიერ ასადისა და ტერორიზმის დაფინანსება;
    - ვაშინგტონი შეთანხმებას რეგიონის მასტაბილიზებელ ძალად მიიჩნევს მაშინ, როცა სწორედ ამ რეგიონში ამ მხრივ ვითარება დღითიდღე უარესდება.
- შეთანხმება საშიშ სიგნალს აძლევს ირანსა და რეგიონის სხვა ქვეყნებს:
    - ირანს მიაჩნია, რომ რეგიონში მის ნებისმიერ მოქმედებას ვერცერთი სახელმწიფო ვერ აღუდგება წინ.

ხელშეკრულების განხორციელების მონიტორინგი

მიუხედავად ზემოთ განხილული კრიტიკისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში ირანმა პირობები დაარღვიოს. ირანის ინტერესები და პასუხისმგებლობები რომც არ გავითვალისწინოთ, დასავლეთი მნიშვნელოვან ბერკეტს ფლობს ხელშეკრულების დარღვევის მცდელობის პრევენციისთვის. ეს ბერკეტი არის შეთანხმებით განსაზღვრული უფლება, რომ დასავლეთმა თვალ-ყური ადევნოს ირანის მოქმედებას ბირთვულ წარმოებაში. გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA) ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის

განმავლობაში დააკვირდება ირანში ამ მხრივ მიმდინარე პროცესებს. გაეროს გენერალური მდივნის განცხადებით, დაკვირვების პროცესებში უშიშროების საბჭოც მიიღებს მონაწილეობას და ყოველ ექვს თვეში გამოაქვეყნებს ანგარიშს. ეს მექანიზმი რომ მოქმედებს, ამაზე მეტყველებს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ირანი პირობებს ასრულებს შემდეგ ობიექტებთან და საკითხებთან დაკავშირებით:

- არაკის მძიმე წყლის რეაქტორი;
- მძიმე წყლის წარმოების ქარხნები;
- ურანის გამამდიდრებელი სამუშაოები;
- ცენტრიფუგების წარმოება და განვითარება;
- ფორდოუს საწვავის გამამდიდრებელი ქარხანა.

მოხსნილი სანქციები

ხელშეკრულების იმპლემენტაციის (16 იანვარი, 2016) შემდეგ მოიხსნა ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ დაწესებული სავაჭრო და ნავთობზე ინვესტირების სანქციები, ასევე ნავთობქიმიურ ნაწარმზე, მეტალზე, გემთმშენებლობის, საბანკო სადაზღვეო და სხვა ფინანსურ მომსახურებაზე დაწესებული შეზღუდვები. აშშ-ის მიერ მოიხსნა აკრძალვები ვიზებზე და ამერიკული კორპორაციების მიერ ირანში ბიზნესის წარმოების უფლებაზე. შეთანხმების ფარგლებში, აშშ-მა ირანს გადაუხადა დაახლოებით $1.7 მილიარდი, რომელიც მოიცავს შაჰ ფეჰლევის მიერ ამერიკული იარაღის შესყიდვის მიზნით ამერიკისთვის გადახდილი $400 მილიონს, რადგან 1979 წელს ირანში რევოლუციის პირობებში იარაღის ტრანზაქცია ვერ დასრულდა.

თუმცა ეს არ არის ყველა სანქცია, რომელიც წლების განმავლობაში მოქმედებდა ირანის წინააღმდეგ. აშშ და ევროკავშირი, გარანტიების დატოვების მიზნით, ირანის მიმართ არ აუქმებენ აქამდე დაწესებულ ყველა სანქციას.

წინააღმდეგობები და მოსალოდნელი საფრთხეები

ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა ერთი არგუმენტი არის ის, რომ ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობის აღკვეთის პირობებში, ირანმა, შესაძლოა, სამხედრო შეიარაღება გაზარდოს, რათა უფრო თავდაცვისუნარიანი იყოს და არ შეუსუსტდეს პოზიციები რეგიონში. ამან კი, შეიძლება, რეგიონში ახალი კონფრონტაციის საფრთხეები შექმნას. ახლო აღმოსავლეთის ბრიფინგზე (MEB) გამოითქვა მოსაზრება, რომ პრობლემა ისაა, რომ ირანი როგორც ბირთვული იარაღის, ისე საერთაშორისო სანქციების გარეშე უფრო აგრესიული იქნება რეგიონული მასშტაბით, ვიდრე შეთანხმების ხელმოწერამდე. ამის მიზეზი კი მისი რეგიონული ამბიციების ზრდა და საკუთარი თავის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ მიჩნევა იქნება.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ირანის ბირთვულ შეთანხმებას თითქმის ერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვია გეოპოლიტიკურმა ამბიციებმა, ეკონომიკურმა კონკურენციამ, პირადმა პოლიტიკურმა ამბიციებმა და სტრატეგიულმა ალიანსებმა. ისრაელისა და არაბული ქვეყნებისათვის ბირთვული შეთანხმების შემდეგ დასავლეთთან გაღრმავებული ურთიერთობები, შედეგად კი ირანის ცნობა რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოდ არც ისე სასიხარულო სიახლეა. ისრაელის პრემიერ მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ ირანის ბირთვულ შეთანხმებას ისტორიული შეცდომა უწოდა. ისრაელი წლების მანძილზე ამერიკის შეუცვლელი მოკავშირე იყო რეგიონში, შეთანხმების შედეგად კი ირანის დაახლოება ამერიკასთან ამცირებს ისრაელის სტრატეგიულ მნიშვნელობას ამერიკისთვის. ეს შეთანხმება სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოებისთვისაც, ისრაელის მსგავსად, რეგიონში პოზიციების ნაწილობრივ შესუსტებას ნიშნავს (თუმცა მათ მხარდაჭერა გამოხატეს შეთანხმების მიმართ). ეს გარემოებები ირანსა და ამ ორ სახელმწიფოს შორის შესაძლოა დაპირისპირების გამწვავების მიზეზად იქცეს. კონფლიქტი კი ყველა მხარისთვის უკიდურესად საზიანო იქნება, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სამივე მხარე ფლობს მაღალტექნოლოგიურ საბრძოლო აღჭურვილობასა და შეიარაღებას, ასეთ პირობებში

კი ომს აუცილებლად მოჰყვება ქვეყნების შიდა ინფრასტრუქტურისა და ინდუსტრიული შესაძლებლობების რღვევა, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანურ მსხვერპლზე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ქვეყნები ასეთ მსხვერპლზე წავლენ და ომს წამოიწყებენ.

კიდევ ერთი საფრთხე, რომელზეც ხელშეკრულების კრიტიკოსები საუბრობენ, არის ის, რომ ხელშეკრულების ფარგლებში ირანმა უკვე მიიღო 170 თვითმფრინავი ეროვნული ავიახაზებისთვის. ამ ფაქტს აშშ-ის კონგრესის ნაწილი საფრთხედ მიიჩნევს და იხსენებს, რომ ირანი კომერციულ თვითმფრინავებს იყენებდა ყუმბარებისა და იარაღის ტერორისტებისთვის მისაწოდებლად.

ხელშეკრულებისთვის საფრთხედ შეიძლება იქცეს აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტის ქმედებაც, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ ირანის ბირთვულ შეთანხმებას გააუქმებდა პრეზიდენტობის პირველივე დღესვე. თუმცა ამ საფრთხეებზე საუბარი ჯერჯერობით არარეალურია, რადგან აშშ-ის გარდა ხელშეკრულების მეორე მხარეს უშიშროების საბჭოს დანარჩენი ოთხი წევრი და გერმანია დგანან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არც ირანის მმართველ წრეებშია აზრთა ერთგვაროვნება ბირთვულ შეთანხმებასთან დაკავშირებით. ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის რელიგიური ლიდერი, ამჟამად ალი ხამენეი, რომელიც პრეზიდენტისგან განსხვავებით, მიიჩნევს და ამბობს, რომ გასული დროის განმავლობაში ხელშეკრულებას რამე მნიშვნელოვანი სასიკეთო გავლენა არ მოუხდენია ირანელთა ცხოვრებაზე.

რატომ არის მნიშვნელოვანი JCPOA(Joint Comprehensive Plan Of Action)?

ხელშეკრულების მომხრეებს არაერთი არგუმენტი აქვთ იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ირანის ბირთვული შეთანხმება, როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით. ირანის ბირთვულ შეთანხმებას მსოფლიოს 100-ზე მეტმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ხელშეკრულება ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის პრევენციის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა.

მთავარი არგუმენტი და პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არის ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა დიდი საფრთხე და შესაბამისად, რატომ ენიჭება ბირთვულ შეთანხმებას ამხელა მნიშვნელობა, არის გლობალური საფრთხეების თავიდან აცილება - თუ ირანი ბირთვულ იარაღს შექმნის, მას ექნება იმის საშუალება, რომ პარტნიორებთან, მეზობლებთან თუ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისას დაშინების პოლიტიკა გამოიყენოს და ამ გზით შეძლებს თავისი ყოველგვარი საგარეო ინტერესის განხორციელებას.

გარდა ამისა, განიხილებოდა ვარაუდიც, რომ თუ ირანი ბირთვულ იარაღს შექმნიდა, იგი ტერორისტულ ორგანიზაციებსაც მოამარაგებდა და ამერიკას, თავის უმთავრეს მოწინააღმდეგესაც, უფრო მწვავედ დაუპირისპირდებოდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ირანთან ბირთვულ შეთანხმებას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად თავიანთი რეგიონული ამბიციებისა, საუდის არაბეთმა და ეგვიპტემ მხარი დაუჭირეს ირანის ბირთვულ შეთანხმებას, როგორც რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ისინი ასევე აცხადებენ, რომ ამ შეთანხმების შედეგად, რეგიონში ამერიკის როლი შემცირდება და რეგიონის ქვეყნები ამერიკისგან მეტად დამოუკიდებლები გახდებიან.

ირანის ბირთვული შეთანხმება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ საუდის არაბეთს შეთანხმებამდე არაერთხელ გამოუთქვამს ბირთვული იარაღის ფლობის სურვილი ირანთან ძალთა ბალანსის მიზნით. ამას ადასტურებს 2015 წლის მაისში სამხრეთ კორეაში ვიზიტისას საუდის არაბეთის ინტელიგენციის ლიდერის, თურქი ალ ფაიზალის განცხადება: „რაც ექნება ირანს, ის გვექნება ჩვენც“.

განხილული გარემოებებიდან და არგუმენტებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ირანის ბირთვული შეთანხმება მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაა.

ხელშეკრულების იმპლემენტაციის შედეგები

კრიტიკის მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ცხადია ხელშეკრულებით მიღწეული შედეგები. 2016 წლის 18 ივლისს, გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაზე ბირთვული შეთანხმების იმპლემენტაციის საკითხთან დაკავშირებით აშშ-ის წარმომადგენელმა, სამანტა ფაუერმა განაცხადა, რომ მიუხედავად კრიტიკისა და წინააღმდეგობისა, ირანთან ბირთვული შეთანხმება შედგა: გასული ერთი წლის განმავლობაში ირანმა ცენტრიფუგების ორი მესამედის დემონტაჟი მოახდინა და არაკის პლუტონიუმის რეაქტორის ბირთვი ცემენტით ამოავსო. გამდიდრებული ურანის 98% უკვე გატანილია ქვეყნის ტერიტორიიდან. მის ფაუერის განცხადებით, შეთანხმების შედეგად ირანის გზა ბირთვული იარაღის შექმნისკენ მოჭრილია და მსოფლიო მეტად უსაფრთხოა დღეს, ვიდრე ერთი წლის წინ. თუმცა ამ პროგრესს და მიღწეულ წარმატებას სჭირდება შენარჩუნება კოლექტიური მუშაობის გზით, რაც დამოკიდებულია გაეროს უშიშროების საბჭოზე, გენერალურ სამდივნოსა და შეთანხმების წევრ თითოეულ ქვეყანაზე, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ რეზოლუციის იმპლემენტაციის პროცესში.

შეთანხმებიდან ერთ წელზე მეტი დროის შემდეგ ირანის ეკონომიკა საგრძნობლად გაუმჯობესდა. აღსანიშნავია, რომ ირანის ნავთობის ექსპორტი ერთი მეორედით გაიზარდა. ირანის ეკონომიკური ზრდა ხელშეკრულების მოწერიდან ერთი წლის შემდეგ შეადგენდა 0.7%-ს. მომდევნო წელს კი ამ მაჩვენებლის 3.7%-მდე გაზრდას ვარაუდობენ. ინფლაციის მაჩვენებელი 12%-ია, მაშინ, როცა 2012 წელს იგი 45%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ისრაელი, მიუხედავად რადიკალური მოწინააღმდეგე პოზიციებისა, ხელშეკრულების დადებიდან 17 თვის შემდეგ ამბობს, რომ ხელშეკრულების შედეგი არის გაზრდილი უსაფრთხოება. ისრაელის დამოკიდებულებას მოწმობს ერთ-ერთ ებრაულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის სათაური „ერთი წლის შემდეგ ირანი კვლავ ცუდია, ირანის ხელშეკრულება კი - კარგი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ხელშეკრულებას უფრო მეტი მომხრე გამოუჩნდა. ეს კი ხელშეკრულების გეგმიურად განხორციელების აშკარა და დადებითი შედეგია.

დასკვნა

ზემოთ განხილული მოხსნილი ეკონომიკური სანქციების, ირანის ბოლოდროინდელი ეკონომიკური წინსვლის, დასავლეთთან რეინტეგრაციისა და გაუმჯობესებული ურთიერთობების, აგრეთვე რეგიონის ლიდერის სტატუსის მოპოვების ფონზე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ირანი ხელშეკრულებას დაარღვევს. რაც შეეხება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ ქმედებებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ირანის ბირთვული პროგრამის აღდგენა, რომელიც ქვეყანას ბირთვული იარაღის წარმოების საშუალებას მისცემდა, უკვე განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოების შემდეგ ძალიან რთული იქნება. თეთრი სახლის განცხადებით, ხელშეკრულებამდელ პირობებში ირანს ბირთვული იარაღის საწარმოებლად მხოლოდ 2-3 თვე დასჭრდებოდა, დღეს კი აქამდე მისასვლელი ყველა გზა მოჭრილია, რადგან ქვეყნიდან გატანილია იარაღის წარმოებისთვის საჭირო ურანის 98% და ასევე აუცილებელი ელემენტის, პლუტონიუმის წარმოება საერთოდ შეწყვეტილია ხოლო ქარხნები - დეზორგანიზებული. გასათვალისწინებელია პროგნოზები ირანის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან დაკავშირებით - სავარაუდოა, რომ ამგვარ ეკონომიკურ განვითარებას ირანი საფრთხეში არ ჩააგდებს და არ აწარმოებს ბირთვულ იარაღს, რომელიც რეგიონული ლიდერობისა და ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის სჭირდებოდა.

ბირთვული შეთანხმებისა და ბირთვული კლუბის პერსპექტივების შეფასებისას აუცილებელია შევეხოთ იმ საკითხსაც, რომელიც წლების განმავლობაში აფერხებდა შეთანხმების მიღწევას - ირანის ყოფილი პრეზიდენტი, მაჰმუდ აჰმადინეჯადი ფიქრობდა, რომ ის დასავლეთთან ბირთვულ შეთანხმებას ვერ მიაღწევდა. აჰმადინეჯადი მტკიცედ იცავდა ნაციონალისტურ იდეებს და უარყოფდა დასავლეთის პირობებს რადგან ეს ყველაფერი ირანს დაასუსტებდა. ქვეყნის ამგვარი პოზიციები შეიცვალა ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ხელშეკრულების

სიმტკიცესა და ირანის, როგორც ბირთვული სახელმწიფოს მომავალზე საუბარი შეუძლებელია იმის გაუთვალისწინებლად, თუ როგორი იქნება ირანის მთავრობის საგარეო პოლიტიკა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ირანმა უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბირთვული პოლიტიკის შესუსტებისკენ და მის აღსადგენად უამრავი ძალისხმევა და ენერგია დასჭირდება. ეს ძალისხმევა და მცდელობა, შესაძლოა, დასავლეთთან კონფრონტაციის ახალ მიზეზად იქცეს, რაც კიდევ უფრო შეაფერხებს ირანის მცდელობას, შეუერთდეს მსოფლიოს ბირთვულ კლუბს.

ასე რომ, დასავლეთის მობილიზება, ეფექტიანი მონიტორინგი და ირანის მიერ უკვე გადადგმული ნაბიჯები მეტყველებს, რომ ხელშეკრულება მართლაც ეფექტიანი და გრძელვადიანია. ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნაზე ხელის აღება კი რეგიონის მშვიდობიანობას უზრუნველყოფს იმ კუთხით, რომ რეგიონის ქვეყნებს ძალთა ბალანსის დამყარების მიზნით ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობა აღარ ექნებათ.

საბოლოო ჯამში, ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა არგუმენტების გაბათილებისა და დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, შეთანხმების ხელმოწერიდან 17 თვის თავზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ირანის ბირთვული შეთანხმება რეგიონული და მსოფლიო მშვიდობის ხელშემწყობი ისტორიული ნაბიჯია და იგი ირანის მიერ ბირთვული იარაღის არა გადავადების, არამედ მის შექმნაზე უარის თქმის ერთგვარ გარანტად შეიძლება ჩაითვალოს, რის შედეგადაც, სავარაუდოდ, მსოფლიოს ბირთვული კლუბიც აღარ გაფართოვდება.

ბიბლიოგრაფია:

- Mata Krustel. Yashwant Kumar. Analysis of US – Iran Nuclear Deal Negotiations. ACADEMIA. ინტერნეტი. https://www.academia.edu/12089512/Negotiation_analysis_of_US-Iran_Nuclear_Deal ; ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Beachy Susan, Sinha Shreeya. Timeline on Iran's Nuclear Program. NYTIMES. ინტერნეტი. http://www.nytimes.com/interactive/2014/11/20/world/middleeast/Iran-nuclear-timeline.html?_r=0#/#time243_7199 ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Biswas Arka. Iran Nuclear Deal: Implications of the Framework Agreement. ACADEMIA. https://www.academia.edu/13339716/Iran_Nuclear_Deal_Implications_of_the_Framework_Agreement ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Dolan Daniel. Analysis: A Year after Iran Nuclear Deal. 2016. NEWS. USNI. ინტერნეტი. https://news.usni.org/2016/08/10/analysis-year-iran-nuclear-deal ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Dorell Oren. Year after Nuclear Deal, 6 ways Iran is more assertive. 2016. USATODAY.ინტერნეტი. http://www.usatoday.com/story/news/world/2016/07/13/iran-nuclear-deal-year-later/86978502/ ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Frykberg Mel. Mixed Middle East Reaction to Iran Nuclear Deal. 2016. NUCLEARABOLITION. ინტერნეტი.http://www.nuclearabolition.info/index.php/440-mixed-middle-east-reaction-to-iran-nuclear-deal ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Full Text of Iran Nuclear Deal. 2015. WASHINGTONPOST. ინტერნეტი. http://apps.washingtonpost.com/g/documents/world/full-text-of-the-iran-nuclear-deal/1651/ ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Iran. Chronology of Events. 2016. SECURITYCOUNCILREPORT. ინტერნეტი. http://www.securitycouncilreport.org/chronology/iran.php?page=2 ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Iran Nuclear Talks: Framework Deal Agreed. 2015. BBC. ინტერნეტი. http://www.bbc.com/news/world-middle-east-32166814; ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Kasperowicz Pete. Iran exporting Uranium to Russia under nuke deal. 2015. WASHINGTONEXAMINER.ინტერნეტი. http://www.washingtonexaminer.com/kerry-iran-exporting-uranium-to-russia-under-nuke-deal/article/2579171 ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.

- Kershner Isabel. Iran Deal Denounced by Netanyahu as 'Historic Mistake'. 2015. NYTIMES. ინტერნეტი. http://www.nytimes.com/2015/07/15/world/middleeast/iran-nuclear-deal-israel.html ; ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Levitt Matthew. Iran's Support for Terrorism under the JCPOA. 2016. WASHINGTONINSTITUTE. ინტერნეტი. http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/irans-support-for-terrorism-under-the-jcpoa ; ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- O'Brien Matthew. How does currency Drop 60% in 8 days? Just ask Iran. 2012. THEATLANTIC. ინტერნეტი. http://www.theatlantic.com/business/archive/2012/10/how-does-a-currency-drop-60-in-8-days-just-ask-iran/263159/ ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- United Nations. Security Council. 2016. SECURITYCOUNCILREPORT. ინტერნეტი. http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/s_pv_7739.pdf ; ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Viersen Harald. Egypt-Saudi Ties Stronger in the Wake of the Iran Nuclear Deal. 2015. MUFTAH. ინტერნეტი. http://muftah.org/egypt-saudi-ties-stronger-in-the-wake-of-iran-nuclear-deal/#.WFAIwdIrLIU ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Resolution 2231 (2015). UN. ინტერნეტი. http://www.un.org/en/sc/2231/ ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Sanctions reduced Iran's oil exports and revenues in 2012. 2013. EIA. ინტერნეტი. http://www.eia.gov/todayinenergy/detail.php?id=11011 ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Sasson-Gordis Avishay Ben. A Year in: Iran is still bad, the Iran Deal is still good. 2016. JEWISHJOURNAL. ინტერნეტი. http://www.jewishjournal.com/opinion/article/a_year_in_iran_is_still_bad_the_iran_deal_is_still_good ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- What the World is Saying about the Iran Deal? 2016. WHITEHOUSE. ინტერნეტი. https://www.whitehouse.gov/issues/foreign-policy/iran-deal ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- Withnall Adam. "Saudi Arabia vows to set off new Middle East arms race and 'match Iran's nuclear capability' ". 2015. INDEPENDENT. ინტერნეტი. http://www.independent.co.uk/news/world/middle-east/saudi-arabia-vows-to-set-off-new-middle-east-arms-race-and-match-irans-nuclear-capability-10250789.html ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.
- WORLDBANK. Iran, Overview. 2016. ინტერნეტი http://www.worldbank.org/en/country/iran/overview ბოლო ნახვა, 13 დეკემბერი, 2016.